საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 6 22 00143944

11/08/2022

ვიქტორ დათაშვილს

ბატონო ვიქტორ,

თქვენი 2022 წლის 6 აგვისტოს წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2021 წლის 10 ივნისს, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ„ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა ქვეყანაში არსებული კიბერ-უსაფრთხოების არქიტექტურა.

განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კიბერ-უსაფრთხოების დაცვაზე, ასევე მათში ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის პროცესის კონტროლზე პასუხისმგებელ უწყებად სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო განისაზღვრა 2021 წლის 30 დეკემბრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არ ფლობს განხორციელებული კიბერ შეტევების თაობაზე სტატისტიკურ მონაცემებს.

სააგენტოში დასაქმებული კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ„ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით სააგენტოსთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით სააგენტოში შეიქმნა შესაბამისი დანაყოფი, რომელიც დღეის მდგომარეობით კომპლექტდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი /დეპარტამენტის

საქართველო, ქ. თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72, ტელ. (+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
72, Vazha-Pshavela Avenue, Tbilisi 0186, Georgia, Tel.(+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
info@ssg.gov.ge

დირექტორი/მოვალეობის დროებით შემსრულებელი
ქუთათელაძე დავით